საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი მაისი 21
1921 წ.
ფასი 100 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელ მეუღლის

## კოტე დიმიტრის ძე ყიფიანის

გარდახდილ იქნება კვირას, მაისის 22-ს, ჭავჭავაძის ეკლესიაში დილის 10 საათზე.

---

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ელისაბედი, დედა ანასტასია, რძლები: დარია და ელენე, ძმისწულები: ელენე, ირაკლი, შალვა და თინა დარჩიაშვილები და დისწული თამარ მოსეშვილისა ქმრით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მაისის 19 დილით გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

## მიხეილ ივანეს ძე დარჩიაშვილი

პანაშვიდები საღ. 6 საათზე სახ. ბინაზე, ანდრეევის ქ. № 73. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1012

---

ნიკოლოზ იოსების ძე, ოლღა დიმიტრის ასული და სოფიო ნიკოლოზის ასული ქრელაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი მეგობრის

## მიხეილ ივანეს ძე დარჩიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, კვირას მაისის 22-ს დილის ათ საათზედ (ანდრეევის ქუჩა № 73) დიდუბის ღვთის მშობლის ტაძარში. 1016

---

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი დედა მარიამ გრიგოლის ასული ბილანიშვილისა დები ეკატერინე ნიკოლოზის ასული ბილანიშვილი და ნადეჟდა ნიკოლოზის ასული ანდრეევისა ღრმა გულის ტკივილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მაისის 17-ს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი პირველის შვილი და მეორეთა დაი

## ნინო ნიკოლოზის ასული გაჩავასი

უკანასკნელი პანაშვიდი და დაკრძალვა მოხდება ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში, დღეს, მაისის 21-ს ნაშუადღევის 4 საათზე ცხედარს გამოასვენებენ მეორე ქალაქის (ყოფილი ალექსანდრეს სახელობისა) საავადმყოფოდან—დიდი მთავრის ქ. № 103. 1021

---

მეუღლე ალექსანდრე ოტიას ძე გაჩავა, შვილი ლევან, მაზლი ივანე გაჩავა და მული ნატალია ოტიას ასული ბუაჯანაძისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მაისის 17-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორის დედა, ხოლო მესამისა და მეოთხის რძალი

## ნინო ნიკოლოზის ასული გაჩავასი.

უკანასკნელი პანაშვიდი და დაკრძალვა მოხდება ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში შაბათს მაისის 21-ს, ნაშუადღევის 4 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ მე 2-ე ქალაქის საავადმყოფოდან (ყოფილი ალექსანდრეს სახელობისა) დიდი მთავრის ქ. № 103. 1021

---

დამწუხრებულნი ანნა ვასილის ასული ფეოფილაქტოსი შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი საყვარელი და დაუვიწყარი ქალის და დის

## ლარისა ფეოფილაქტოსის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, მაისის 22, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე 12 საათზე. 1„18

---

## განცხადება

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენზა-გასწორების განყოფილებასთან არსებულ პატიმართ მეთვალყურეობის კურსებზე ლექციებს კითხულობენ და მეცადინეობენ შემდეგპირნი:

1) გ. ქოქაშვილი (მიწად მოქმედ. სახალ. კომ. მოადგილე): საბჭოთა კონსტიტუცია.

2) პროფ. შ. ნუცუბიძე: ფსიქოლოგია.

3) პროფ. ასათიანი: ფსიქოპათოლოგია (პათოლოგიური ტიპები).

4) გ. თარხნიშვილი: მოკლე მიმოხილვა, საქართველოს სისხლის სამართლის ჟამთა რუსეთთან შეერთებამდე.

5) თ. ბეგიაშვილი (ტფილისის საერთო განყოფილების კურსების ლექტორი): ქართული ენა.

6) ა. გრიგოლია: საპატიმრო ადგილების დაცვისა და პატიმართა ცხოვრების წესი.

7) ლ. შურღაია (კურსების ხელმძღვანელი): ძირითადი პრინციპები საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა სისხლის სამართლის საქმეში, პატიმართა მეთვალყურეობა, პრაქტიკული მეცადინეობისა და კურსების საერთო ხელმძღვანელობა.

კურსებზე მიღება გაგრძელებულია მაისის 23 მდე. მიიღებიან სამხედრო სამსახურის სტაჟ გავლილი და გამოცდილი პირნი ყოფილი ოფიცრები, (აგრეთვე ქალები (განზრახულია (ცალკე) გამასწორებელ სახლის დაარსება პატიმარ-ქალთათვის). კურსები გაგრძელდება სამი კვირა და მიზნად აქვს საპატიმრო დაწესებულებათა ფუნქციების და მათი თანაშემწეების მომზადება. 35

---

## თხოვნა საზოგადოებისადმი

### მიხეილ (მიშა) კოსტანტინეს ძე პალკოვნიკი იოსელიანი

მსახურებდა პირველ ქართულ ქვეითა პოლკში კოჯორთან ბრძოლის დროს იყო მოკლული თებერვლის 24-ს ვისაც რაიმე ცნობა აქვს მის დაკრძალვის შესახებ უმორჩილესად ვთხოვ აცნობოს მის დამწუხრებულ დედას შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი გოსპიტლის ქუჩა—არტილერიის მესახეევი ქუფარამის სახლი ალექსანდრა აბაშიძის ასულ იოსელიანისას.

1017

---

კბილის ექიმმა

## აპოლონ ურუშაძემ

განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.

ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

---

ექიმი

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურად ხიფილისი (914 ⅌ 606) სქესობრივი ქოლოუგები, ვენერიული ხუხუნათი და შედეგები.

ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცელხლის მქროიშვილ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

---

## ფურცლები

28

### ჩვენ და თქვენ.

„კომუნისტ"-ში რ. კ-ს წერილია დაბეჭდილი—„26 მაისი". წერილი სადაა, მარტივი, გასაგები ენით, ხალხური სტილით, მარქსისტული შემეცნებით.

დიდი, საყურადღებო საკითხია მუშლობის საგანი. ბურჟუა, გლეხი, მათხოვარი თუ შეგნებული მუშა, როსკიპი ქალი თუ სურნელი წყლით დამთვრალი ძღოსანი, მიკიტანი თუ ჩუქურთმის ოსტატი—ყველა 26 მაისს ზეიმობს და ამ დღისათვის ემზადება—ზოგი ტანსამოსს ამზადებს და შუშხუნა ჩხავერს უმასპინძლდება, ზოგი კი დახჩრეულ არდახს მოიმართავს, ზოგი კი ხაზ ჩონგურს და თარს რათა ან ღვინოში, ან მუსიკაში, ან ხელოვნებაში ჰპოვოს წუთიერი ნეტარება.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით რ. კ-ს, რომ 26 მაისი ყველას თავისებურად ესმის. რასაკვირველია, სპეკულიანტი ამ დღეს რამდენიმე მილიონს გააგდებს ვაკეს მიდამოებში რომ გაღორკეცებით ჩაელაგოს თავის ზანდუკში, ბევრი მგოსანი ნაირ მარცვლიდან ლექსებს ააწყობს ლამაზ ქალის მოსახიბლავად, ბევრიც ლაზათიანად შეგვიკურთხებს და თავისი ჭუჭყიანი ხელით შეგვილახავს რაც წმინდაა ჩვენს ისტორიაში, პარტიებიც თავისთვის გამოიყენებენ ამ დღესასწაულს, ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით ამხანაგო რ. კ, მაგრამ ჩვენ ცოტა თქვენზე შორს უნდა წავიდეთ. ქართველი ხალხის სხვა და სხვა წრე, კლასი თავისებურად აფასებს ყოველ დღესასწაულს, მაგრამ არის მთავარი საკითხი რაც ყველას აერთებს. მაგალითად—აიღეთ ღიპიანი ქართველი ჩარჩი, მშიერ ჩაქცეული მშიერი მუშა, ყოველი ქართველი, თქვენ, ამხანაგო კომუნისტო რ. კ. და მეც ფედერალისტი, ერთხმად ვიძახით—გაუმარჯოს ტფილისს, საქართველოს დედა ქალაქს. ამ საკითხში საქართველო ერთია, ქართველი ხალხი ერთია. არის ასეთი საერთო საკითხები ძალიან ბევრი, მაგრამ აი ასე ერთობლივაც მიღებული. საერთო აზრი, ესე იგი ეროვნული ხუთი გაუგებარი ხდება თქვენი აძხ. კომუნისტებისათვისაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კომუნისტი არაა ქართველია. ტფილისში კომუნისტებს სომხური გაზეთი აქვთ სადაც მუდამ იმის მტკიცებაა, რომ ტფილისი ამიერ-კავკასიის ქალაქია. რაშია საქმე, რომ თქვენ, ქართველი კომუნისტი და სომეხი კომუნისტი ერთი დროშის ხალხი ერთსა და იმავე საკითხზე სხვაგვარად ლაპარაკობთ?—ეს ხდება იმიტომ, რომ ამხანაგო რ. კ. თქვენ ქართველი ხართ, თქვენი ამხანაგი კი არაქართველი. ესე იგი კლასობრივ განსხვავების გარდა არსებობს ერთი კლასის ხალხშიაც ეროვნული განსხვავება. ამ ფაქტს იმიტომ კი არ ვაევნიცხავთ, რომ შემოვაჯდეთ სიძულვილის რაშს და შურით ხელში ვეკვეთოთ მეორე ერის ხალხს. არა, უნდა ვიცნოთ არსებული ინტერესები, ძოვაგვარით, შევათანხმოთ ერები და დავუახლოვდეთ ჰარმონიულ ცხოვრებას.

ჩვენს მოღვაწეობაში და შემეცნებაში ორი მომენტია—სოციალური და ეროვნული. რამდენადაც სოციალიზმს დაუახლოვდებით იმდენადვე ეროვნული ფაქტორი გაიშლება, გაიზრდება. ჩვენი ეს აზრი დღესაც გაუგებარია კომუნისტებისათვის. აი ეხლა „პრავდა გრუზიის" თქვენი ამხანაგი ს. პ. მეკამათება და უკვირს—თურმე ლენინს სოციალიზმი ერისათვის უნდაო. მე არ ვიცი რა გონების მქერალია მოქალაქე ს. პ., ან ესმის კი მას საზოგადოდ სოციალიზმი? მაგრამ თუ მართლა არ ესმის ჩვენ განვმარტავთ: სოციალიზმი არის დეკლასიური წყობილება, ე. ი. სადაც არ არის კლასი, წოდება, ესე იგი, სადაც რევოლუციას ადგილი არ ექნება. მაგრამ სოციალიზმი დეცენტრალური საზოგადოება სრულიად არ გაბლავს. სოციალიზმი დამყარდება, მოისპობიან პროლეტარები, კაპიტალისტები, მაგრამ „ცა-ფირუზ-ზურმუხტი" საქართველო კვლავ დარჩება, ქართველი ხალხი კიდევ იარსებებს. ჩვენმა ერმა გადაიარა მრავალი კულტურა, მრავალი წყობილება, ძრავალი წოდება, ყველა წავიდა, საუკუნეს ჩაებარა, მაგრამ ქართველი დარჩა, საქართველო მაინც არსებობს.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს შემდეგს: ჩვენ და ჩვენი წყობილება აწმყოის ისეთი სტუმრები ვართ, როგორც მაისის პეპელა ჩვენი ქვეყნისა, ესე იგი, კლასი წარმავალია, ერი მარადიულია. სოციალიზმიც ეკონომიური სისტემაა, ერის სამოსელია, წარმავალი და დროულია, ხოლო სოციალიზმთან შედარებით ერი და ეროვნული პრობლემა უდიდესი და მარადიულია, ერი სოციალიზმსაც მოსპობს და დასტოვებს, როგორც ყოველგვარ ფორმას. ერი და ეროვნება ყოველ წყობილებაზე ახალი და შორეულია. სოციალისტი ისტორიულ შემეცნების თვალსაზრისით ეროვნულ მოღვაწესთან შედარებით კონსერვატიული, დროებითი, მოკლე მიზნიანი მებრძოლია. ეროვნულ ძიებასა და სამსახურზე უმორესი და უდიადესი მიზანი კაცობრიობას ჯერ არ წარმოუდგენია არც ერთ უტოპისტის პირიღაც კი! ს. პ. გადმომდგარა და გვეუბნება: ფედერალისტებს სოციალიზმიც ერისათვის უნდათო! დიახ, სოციალიზმი, რევოლუცია, კლასი, შეგნება, სული, კულტურა ყველაფერი ჩვენ ერისთვის გვინდა, ერის სრულყოფისათვის და თუ ძმა ხარ რ. კ. თქვენ გვიპასუხეთ—თქვენ რად გინდათ სოციალიზმი და რევოლუცია?

კიდევ ერთს გულუბრყვილობას გამოვიჩენთ და გკითხავთ ს. პ.—ს—ლენინს სოციალიზმი სოციალიზმისათვის სურს თუ რუსის ერისათვის?

მე ვამჩნევ ძალიან დიდ გაუგებრობას ეროვნულს საკითხში. სოციალურ საკითხში ჩვენში არავითარი გაუგებრობა არ არის არსებითად, ეროვნულ საკითხში მე მგონია ჩვენ, ფედერალისტებს, უნდა დაგვიჯეროთ, ეს საკითხი უფრო ახლო იქ-ება ყველა ერისათვის საერთოდ, რევოლუციის და სოციალიზმისათვის კერძოდ.

დროშის საკითხი, რასაკვირველია, მწვავე საკითხი არ არის. ლენინს რუსეთში ერის დროშად წითელი დროშა აქვთ, გერმანელ კომუნისტებსაც წითელი დროშა მიაქვთ, მაგრამ ლენინს მით რუსული საქმისათვის ოდნავაც არ უღალატია.

დროშა მხოლოდ ემბლემაა, ნიშანია ჩვენი მუშაობის. თქვენ, ამხანაგო რ. კ. ამბობთ: 26 მაისს ბურჟუაზია დღესასწაულობსო. ძალიან კარგი. ბურჟუაზია მასას არასოდეს ემსახურება, სოციალიზმი კი მასის სამსახურია და თუ თქვენ 26 მაისს იდღესასწაულებთ სოციალისტური, მუშურ-გლეხური შემოქმედების თვალსაზრისით, ჩვენ კიდევ უფრო ახლო ვიქნებით თქვენთან, ვინაიდან ეროვნულ საქმეს ბურჟუაზია კი არ აკეთებს, არამედ პროლეტარიატი. თქვენ პროლეტარიატის წმინდა ხელით, წმინდა აზრით პრაქტიკულად დაგვიმტკიცეთ ერის ბუნებრივი ატრიბუტების გაძლიერება და გვერწმუნეთ—მთელი ქართველი ხალხის ბოლომდის შვილები თქვენთან იქნება.

წითელი დროშა გაქვებათ?—კეთილი, ხალხი წითელ დროშას მიიჩნევს თავის ეროვნულ დროშად თუ იგი დროშა შოვინიზმს მოსპობს და სადს ქართულს, სადაც ქართულ საქმეს საქართველოში გააკეთებს და მით ძმურად დაუკავშირდება სხვა ერს.

რ. კ. ამბობს: 26 დღესასწაულობდნენ, როგორც აქეს რუსეთის პროლეტარიატიდან ჩამოშორებისას. გეთანხმებით ერთს დებულებაში: ქართველი ბურჟუაზიული ელემენტები დღესასწაულობდნენ რუსეთის პროლეტარიატიდან ჩამოშორებას, მაგრამ ჩვენ რუსეთის პროლეტარიატის მისია მიგვაჩნია უდიდეს მისიად და რუსეთის პროლეტარიატს არ ვეთიშებით, ჩვენ გამოვეთიშეთ მხოლოდ რუსეთის იმპერიალიზმს და მის ასიმილიაციის პოლიტიკას.

მხოლოდ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი. რუსის კომუნისტებში ეროვნული

საქმე, ეროვნული საკითხი დიდ გაუგებრობას იწვევს, მათ რომ ვეკამათებით ისეთს რამეებზე ვსწერთ, თითქოს ბავშვს ანა-ბანას ვუკითხავთ. ეს იმიტომ ხდება, რომ რუსის ხალხს საუკუნის განმავლობაში ეროვნული ჩაგვრა არ განუცდია, ის იცდიდა კლასობრივს ჩაგვრას და ამ მხრივ ის ძალიან დაწინაურდა, სოციალურს საკითხში რუსის სოციალისტი დიდი ოსტატია, ეროვნულში კი—არა, იმიტომ, რომ ოსტატობა და სწავლა ქუჩაში და სკოლაში კი არ იპოვება მხოლოდ, არამედ თვით ჩაგვრა წვალებაში.

ჩვენ, ქართველები, ორივე ჩაგვრას ვიტანდით—სოციალურს და ეროვნულს. პირველიც გვესმის და მეორეც. ჩვენ ჩაგვრის მოწმეები ვართ და ამიტომ სოციალური ჩაგვრის შვილებს ვეუბნებით: დიდო ამხანაგებო, გაიგეთ ჩვენი, როგორც ეროვნული ჩაგვრის შვილებისა, ეს გაგება სოციალიზმისა და ერთვნებისათვის მეტად სასარგებლოა.

თედო ღლონტი.

## სომხური პრესა.

გაზ. „კარმირ ასტღ." (წითელი ვარსკვლავი) მე 64 ნომერში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულის შესახებ 26 მაისს მოწინავეში სწერს.

1918 წ. მაისის 26-ს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ერების სრული თვითგამორკვევის იდეა პოლიტიკურ გამოყოფამდე ხალხის მასსებში გადის ოლეს. ბოლშევიკებმა თებერვლის გადატრიალების „თვით პირველი დღიდანვე 1917 წ. ზაფხულში, დროებითი მთავრობის, უკრაინისა და ფინეთის შორის მწვავე ეპიზოდების დროს, მხოლოდ ბოლშევიკები მოითხოვდნენ ეროვნულ საკითხის ნათლად გამორკვევას, და ამ საკითხის საბოლოოთ გადაჭრას თვით მშრომელ ხალხის სურვილის მიხედვით.

მენშევიკები, „რომლებიც „იმ დროს წერეთლის, ჩხეიძის, სკობელევის სახით მთავრობის სითავეში იდგნენ, სრულებით ვერ იტანდნენ ერების თვითგამორკვევის იდეას და ამისთვისაც რუსეთის იმ დროის სანაპირო ქვეყნებში მმართველ „ველიკო-დერჟავენი" სოციალისტების მისამართით მწარე სიტყვები იგზავნებოდა.

დროებითი მთავრობის გადმოგდებით და კომუნისტების მთავრობის სათავეში ჩადგომით პირველად რუსეთის ყველა ხალხების და ყველა სანაპირო ქვეყნებისთვის შესაძლებელი შეიქნა მოწყობილიყვნენ თავიანთი ეროვნული ცხოვრებისა იგე როგორც ამას მოისურვებდნენ სანაპირო ქვეყნების მშრომელი ხალხები და საქართველოში ძალა-უფლების სათავეში მდგარმა „მენშევიკებმა გამოაცხადეს თავიანთი ქვეყანა დამოუკიდებლად.

მენშევიკური საქართველო, რომელიც იმყოფებოდა ორ მებრძოლ დიდ ძალების. კაპიტალიზმის და სოციალიზმის შორის, უნდა გადასულიყო ამ ან იმ ძალის მხარეზე. მათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას პირველ დღიდან მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო ბურჟუაზიულ ანტანტას რადგან უკანასკნელი გარემოება საშვალებას აძლევდა, მათ ყოფილიყვნენ დამოუკიდებელნი კომუნისტებისგან იმ დროს, როცა კომუნისტებმა „შეუბრალებელი პოლიტიკური ბრძოლა დაიწყეს, მენშევიკებმა მთელი თავიანთი პოლიტიკა ააშენეს სამოქალაქო მშვიდობიანობის შენახვის, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შექმნის და ბურჟუაზიულ დასავლეთთან მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებაზე.

ანტანტის ლაქიების დაცემის შემდეგ ქართველი ხალხი ამ დღეს დღესასწაულობს კომუნიზმის წითელ დროშებით და დამოუკიდებელი ხდება მენშევიკების და ევროპიულ კაპიტალის ძალაუფლებიდან და იწყობს გადააკეთოს თავისი მთელი ცხოვრება სოციალისტურ პრინციპების მიხედვით.

მრეწველობის მოწყობა, მიწის საკითხის სრული გადაჭრა, მუშათა ცხოვრების ძირითადი გაუმჯობესობა, სწავლაგანათლების დემოკრატიზაცია—აი ის საფუძვლები, რომლებითაც შეიქნება საქართველოს დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობის დღესასწაული შარშან მოხდა ძველ საზოგადოების ყველა დარგების შთვინისტებისა, როგორიც იყო სამღვდელოება, თავადები, სპეკულიანტები და ბურჟუაზია ეროვნულ დროშების ქვეშ თავიანთ მეცა პოლიტიკით დაბრმავებულ მენშევიკების მეთაურობით მათ იმ დროს იპოვეს საერთო ენა მემარჯვენებთან და სიძულვით სახე მოიბრუნეს იმ ელემენტებიდან, რომელნიც აგონებდნენ მათ პროლეტარიატის კლასიურ საერთაშორისო სოლიდარობის იდეას; მათ ნათლავდნენ ხალხის მტრებად და კიდეც ყველაზე სასტიკ ზომებს ღებულობდნენ მათ წინაღმდეგ ციხეების ფანჯრებიდან მუშები და გლეხები ჰხედავდნენ, თუ როგორ ტალახში ისვრებოდა პროლეტარულ რევოლიუციის წითელი დროშა.

ეხლა ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაულის დღეს, წითელი დროშა, რომელიც ამის იქით იქნება საქართველოს მუშათა და გლეხთა ეროვნული დროშა, იფრიალებს საქართველოს თავისუფალი ხალხის თავზე, რომელსაც უპოვნია თავისი ნამდვილი გზა და დასადგომია ყველა მშრომელთა საერთაშორისო ძმობის გზას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშათა და გლეხთა დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს წვრილ ხალხების განმათავისუფლებელს რუსეთის მუშათა და გლეხთა წითელ ჯარს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

## ახალი ამბები

— **მზარეულთა პროფ. კავშირში** მაისის 15-ს სარევიზიო კომისია შეუდგა 20 მარტიდან 1 მაისამდის კავშირის მიერ გაწეულ ხარჯების რევიზიას. რევიზიამ წარმოების სრული სისწორე შეამჩნია სამაგიეროთ კავშირის კანცელარიის რევიზიის დროს, შემჩნეულია საქმის წარმოების სრული მოუწესრიგებლობა.

— **ბორჯომის მუშის ქარხანა.** სათბობი მასალის უქონლობისა გამო, ქარხანა დროებით შეჩერებული იყო. აგრეთვე ბოთლების უქონლობის გამო დიდი ხანია შეჩერებულია ბორჯომის წყლის ბოთლებში ჩასხმა. სახალხო მეურნეობის საბჭომ ამის გამო გასცა განკარგულება რათა ბორჯომში მაზუთი გაიგზავნოს ბორჯომის ქარხნის საჭიროებისათვის.

— **ავჭალის შუშის ქარხანა.** ამ დღეებში დამთავრდება ავჭალის შუშის ქარხნის შეკეთება. რომლის შემდეგ დაუყონებლივ მუშაობას დაიწყებს.

— **სახალხო სახლი.** დღეს, შაბათს 21 მაისს წარმოდგენილი იქნება ცნობილი დრამა „იუდის დაღუპვა", 26 მაისს სადღესასწაულო წარმოდგენა, დაიდგმის ია ეკალაძის „ნომერი ოცდა ერთი ჯგრით" და „დედა და შვილი" ილ. ჭავჭავაძისა. 28 მაისს გაიმართება დამსახურებულ მსახიობის და რეჟისორის ნიკო გოცირიძის ბენეფისი.

— **გერმანული რეალური სასწავლებელი.** იმ მშობლების საყურადღებოდ ვისაც სურს თავისი ბავშვები მიაბაროს ამ სასწავლებელში, აცხადებს, რომ სათანადო თხოვნები სასწავლებლის დირექტორის სახელზე უნდა იქნას წარმოდგენილი 10 ივნისამდე გიმნაზიის კანცელარიაში (კიროჩნ. № 27).

— **დახმარება მსახიობთ.** საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევკომმა მისცა ერთდროული დახმარების სახით: მსახიობს ნინო ჩხეიძეს—200,000 მან. ს. ცისკარიძეს—50,000 მან. კიაზოვ ბერიძეს საწამლებლად—100,000 მან.

## პარტიაში

დღეს, მაისის 21-ს დილის 1 საათზე სასწრაფო სხდომაა დანიშნული დრ. მთავარ კომიტეტის „სოციალისტ-ფედერალისტის" რედაქციაში.

—

მაისის 13 სოფ. ქვლის სკოლის ეზოში შესდგა მრავალრიცხოვანი კრება; სოფ. ქვლის, ლონის, დარყის და ჯრიის მცხოვრებთა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. დავ. წერეთელმა თანამედროვე მომენტისა და ჩვენი პარტიის მუშაობის შესახებ.

მოხსენების და მარტის 31-ს მთავარ კომიტეტისა და პროფესიათა ორგანიზაციების წარმომადგ. შეერთებული კრების რეზოლიუციის მიღების შემდეგ გაიმართა შეკითხვები რომლის დროსაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა შემკითხველი საჩხერის რაიონის ყანები დამთესს. ინსტრუქტორის ნიკოლოზის დროის მოხელის მიწის მზომელის მოქ. ქარაკოვის ბოროტ-მოქმედებაზე უთითებდენ ამხ. მომხსენებელს და სთხოვდენ რაც შეიძლება მალე გაენთავისუფლებიათ სოფელი მოქ. ქარკოვის პიროვნებისაგან.

ამხ. წერეთელი დაპირდა მცხოვრებთ ამ საქმეში ყოველგვარ დახმარების აღმოჩენას. დასასრულ მოგვარებულ იქნა ტეხნიკ. საორგანიზაციო საკითხები და გაზეთის მიწოდების საკითხი.

კრება დაიხურა საღ. 7 საათზე.

## რადიო

**ეროვნულ სამოქალაქო ბრძოლაზე გადახვლა.**

**რიგა.** მაისის 14. კორფანტის დიდად გართულდა საქმე, როდესაც მუშებს სამუშაო ხელფასს ურიგებდნენ, როგორც პოლონელმა ისე გერმანელმა მუშებმა—უარი განაცხადეს პოლონურ ფულის მიღებაზე. დასარიგებელი ფული ნახევარ მილიარდ მარკას აღწევს.

**ბაზარზე არსებულ სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლა.**

**პეტროგრადი.** მაისის 16. პეტროგრადის მუშათა კოოპერატივის კრებაზე ირჩეოდა ბაზარზე გამეფებულ სპეკულიაციის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხი. ერთ-ერთ საშვალებად ცნობილ იქნა კოოპერატივის მიერ ბათუმში საპირო საქონლის შესყიდვა და მით სავაჭრო აპარატის წარმოება. პეტროგრადის მუშათა კოოპერატივს ამ ჟამათ დიდძალი გადასაცვლელი საქონელი და საოჯახო საგნები მიეპოვება. დაწყებული რკინით და გათავებული პუდრით ბლომათ უწყვია საქონელი თვის საწყობებში მუშათა კოოპერატივს. ეს საქონელი უმთავრესად განაწილდება მხოლოდ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებ საქონელზე გადასაცვლელად.

**კოოპერაცია მომარაგების საქმეში.**

**მოსკოვი.** მაისის 17. ცენტკავშირის საბჭოს მესამე სესიის სხდომაზე სალაფოუნძა მოხსენება გააკეთა კოოპერატივის მოქმედების და მის სასურსათო ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ სახელმწიფოს მომარაგების საქმეში.

კოოპერაციის ფართო ასპარეზი ეძლევა რათა სახელმწიფოს მომარაგება თავის საქმედ გადააქციოს. კოოპერატიული ორგანიზაციები თითონ აწესებენ მომარაგების ნორმას. სურსათის მომხმარებელთა წრეს, რომელსაც კოოპერატივები ამზადებენ. რაც შეეხება სახელმწიფო მომარაგებას, იღებს რა კოოპერაცია მომარაგების საშუალებას იგი მას ანაწილებს სასურსათო სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით და კონტროლით სახელმწიფო ძალაუფლების დახიშნულების და მიხედვით. ადრევე უნდა ხამდვილად გამორკვეულ იქნეს მომხმარებელთა წრე, რომელთაც სახელმწიფო სურსათით უზრუნველჰყოფს მარაგთან მკაცრ შეფარდებით. კოოპერაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოთ გამოკვებას. კოოპერატიული აპარატის გასაფართოებლად განაწილების მუშაობაში უნდა მონაწილეობა მივაღებინოთ მშრომელთა მთელ მასას.

**განხეთქილება საფრანგეთის სინდიკალისტთა შორის.**

**ბერლინი,** მაისის 12. საფრანგეთის შრომის საერთო კონფერენციის კომიტეტის მეოთხე სხდომაზე სოციალგაცემულმა კუნმ განაცხადა: კომიაჩეიკებმა ძალიან გაძლიერეს თავიანთი მოქმედება და მოითხოვა, რომ მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები იქნეს მიღებული. წარმომადგენლების მთელმა რიგმა ადგილებიდან ამ გამოსვლის წინააღმდეგ ილაპარაკეს. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ ახლოა ჟამი შრომის საერთო კონფერენციაში განხეთქილებისა.

**სამოქალაქო ომი იტალიაში.**

**რომი,** მაისის 14. იტალიის რკინის გზის სინდიკატმა მანიფესტი გამოსცა, სადაც პროტესტს აცხადებს ფაშისტების წინააღმდეგ, რომელთაც პროვოკაციის გზით სურთ უფასოთ ისარგებლონ რკინის გზით. გუშინ სადამოს კომუნისტებმა დაფლეს ნაციონალისტების მიტინგი თვითონ მოაწყეს მიტინგი, რომელმაც მარჯვედ ჩაიარა. მთელს იტალიაში გრძელდება სისხლის მღვრელი შეტაკებანი ფაშისტებსა და კომუნისტების შორის.

**მდგომარეობა ინდოეთში.**

**ლონდონი.** ინდოეთის მდგომარეობის შესახებ სწერს ჟურ. „რევიუროფ რევიუზი". დროა ინგლისის მთავრობამ, გაიგოს, თუ რამდენათ ღრმა და სერიოზულია თავის ბუნებრივობით ის მოძრაობა, რაც ამ ჟამათ ხდება ინდოეთში. ინდოეთის ფართე პოლიტიკურ გამოფხიზლებას ამ ჟამათ უსათუოდ ანტიბრიტანული ხასიათი აქვს.

**რუსეთის მომარაგება ხამხოლ მასალით.**

**როსტოვი** მაისის 9. 1 მაისამდე ასტრახანში ზღვით 12,545,000 ფ. ნავთის ნაწარმოები ჩაიტანეს.

**საწარმოო პროგრამა.**

**როსტოვი** მაისის 9. ასტრახანის კონსერვის ქარხნებმა საწარმოო პროგრამა შეასრულეს დასახულ სამუშაოზე 55 პრ. მეტი და 20 პროც. მეტი ვიდრე მშვიდობიანობის დროს.

## † ინჟენერი ლ. თუმანიშვილი

ამ დღეებში გარდაიცვალა ინჟენერი ლევან თუმანიშვილი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ნავთის მრეწველობა.

იგი დიდიხნის მუშაკი იყო ნავთისა ბაქოში და ერთი პირველთაგანი იყო ნავთის კვლევისა საქართველოში.

საერთოთ ქართველი მრეწველები და ინჟენრები, რომლებიც ბევრს მუშაობდნენ ბაქოსა და გროზნის ნავთზედ, ნაკლებად ეტანებოდნენ საქართველოს და არ ინტერესებოდათ მისი ნავთის საგანძეულები. იმას არჩევდნენ ისევ ბაქოს უტყუარ ნავთზედ ეთხარათ, თუნდა ელოდნათ, ვიდრე ახალ ტერიტორიაზედ ეცადნათ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება და კაპიტალიც მოეხმარათ ახალი ნავთის აღმოჩენაში: ყველა მათგანი დარწმუნებული, რომ საქართველოში ნავთი არაა, რომ მას ამ გვარივ ღირსეული მოწავალი მოელის, მაგრამ კაპიტალი, აგრეთვე ამ კაპიტალზედ მოქმედი დაქირავებული ინჟენერი საერთოთ კონსერვატიულია, და ეს კონსერვატიზმი უფრო ნათლად ემჩნევა ნავთის საქმეს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბაქოს პირველ წყაროებიან ბალახანში გაჩაღებული ნავთის მუშაობა ისეთი ვიწრო ოკლიდან იზრდება, რომ ბიბიეიბათის და ბინაგადის რაიონები, სულ 3—3 ვერსით დაშორებული ამ ცენტრიდგან, მუშავდებიან მხოლოდ 30 წლის შემდეგ ისიც ზოგიერთა კერძო მრეწველის ინიციატივით და რისკის წყალობით.

და აი ამ მხრივ ლევან თუმანიშვილი გამონაკლისს შეადგენდა. მას, როგორც დიდი ხნის პრაქტიკს, ძალიან აინტერესებდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნავთის ნიშნები, რომელიც მრავალ შემთხვევაში უტყუარი ნავთის მაჩვენებელია. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ილდოყანის და ფხოველის (თიანეთისა და სიღნაღის მაზრები) ნავთიან ადგილებს და კიდეც შეიტანა ამ საქმეში თავისი წვლილი. მალე დაინტერესდა ამ საქმეში კაპიტალისტები, მაშინდელ ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი შემწეობით დაიწყო ფხოველში ბურღვა ნავთისა. ააშენა მკვიდრი საბურღი კოშკი, მომარაგა მოტორით და სხვა მანქანებით, ააშენა საბინაო სახლი ორსართულიანი, მოაწყო საჭირო სახელოსნოები და საწყობები და სრულიად ახალ ადგილას გააჩაღა ევროპიული მაშტაბით მუშაობა. სამწუხაროდ დაწყებულმა ომმა 1915 წელს გააჩერებინა ეს მუშაობა შუა გზაზედ.

ყოველთვის მომქმედ ინჟენერს იმის იმედი ჰქონდა, რომ კიდევ მალე დაუბრუნდებოდა ამ საქმეს და უსათუოდ მიაღწევდა თავის საწადელს და საქართველოს აღმოუჩენდა თავის მადნეულს. მაგრამ არ დასცალდა და ვეღარ დაუბრუნდა იგი თავის საყვარელს საქმეს, გვიან დაიწყო მან ეს მუშაობა და უდროოდ დადუმდა იგი. წარსულმა მთავრობამაც არ შეუწყო ხელი, რომ 1918—19 წლებში კიდევ განეგრძო მას თავისი დაწყებული საქმე, იქნება მას ღირსებოდა საწადელის მიღწევა და საქართველოსაც საკუთარი საწვავ მასალის პოვნა.

— მე რომ იმ მუშაობის, ენერგიის ნახევარი შემეწირნა ჩემი სამშობლოსთვის, რაც მე შევსწირე ბაქოს ნავთის მრეწველობასო, — მითხრა განსვენებულმა უკანასკნელ ნახვის დროს,—ჩემზედ ბედნიერი კაცი არ იქნებოდაო, საქართველოსაც უნავთოთ ასეთი გაჭირვება არ დაადგებოდა და მეც დაკმაყოფილებული წავიდოდი ამ ქვეყნიდანაო. ეხლა კი რა გამოვიდა, რა გავაკეთე, რითი ვათავებ ჩემს მამულიშვილობასო. საყვედურის ღირსი ვარო.

არა, საყვედურისა კი არა მიბაძვისა და მადლობის ღირსია იგი. პირველი ნაბიჯია ძნელი თორემ ახლა უკვე განვლილ გზაზედ სიარულს ჩვენც მოვახერხებთ. როდესაც პირველად აიტანა ფხოველის აღმართებზედ მძიმე მოტორი და საბურღი მილები, როდესაც უდაბნო, მიუვალ ადგილს აღმართა საბურღი კოშკი (ვიშკა) და პირველად ჩაუშვა ბურღვში საკვრეტი იარაღი—აი მაშინ დაიდგა ძეგლი ლევან თუმანიშვილმა, მაშინ დაიმსახურა მან სახელი პიონერისა და კეთილშობილ მრეწველისა.

და თუ ახლო მომავალში ჩვენ განვაგრძობთ მის მიერ დაწყებულ საქმეს და მივაღწევთ მის მიერ დასახულ მიზანს, მაშინ საქართველოც უდიდესი პატივით და მადლობით მოიხსენიებს თავის ღირსეულ მამულიშვილს და ჩვენც მისი თანამოშრომლები უკეთ დავაფასებთ პიონერობას და პირველ ნაბიჯს ლ. თუმანიშვილისას.

პატივი და დიდება იშვიათ ქართველ ინჟინერს და მოღვაწეს.

ი. ყ.

## წერილი რედაქციის მიმართ

კომუნისტების ძიებ არჩეულ კომისიაში 26 მაისის დღესასწაულის მოსამზადებლად შედის კომუნისტი გალაკტიონ ნუცუბიძე. იძულებული ვარ ეს განვაცხადო საჯაროდ, ვინაიდან მე ყოველ მხრიდან მომართავენ ცნობებისათვის. სამწუხაროდ კომ. გ. ნუცუბიძე თავის სახელს არ აცხადებს. ვსთხოვ მკითხველ საზოგადოებას ყოველ უსახელოდ გამოცხადებულ ნუცუბიძეს ჩემად ნუ ჩათვლის პატივისცემით

შალვა ნუცუბიძე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკური ფაკულტეტის პირველი კურსის მატრიკული ნიკოლოზ ზაქარიაძეს სახელზე, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1013

**დაიკარგა** მატრიკული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან მოცემული, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. სამედიცინო ფაკულტეტის მე 6-ე სემესტრის სტ. არდევან (არტემი) ვალერიანის ძე ახვლედიანი. 1019

**დაიკარგულია** მამულის ნასყიდობის ქაღალდი № 318—915 ვასილ სამქავაშვილისა რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 1020

უმ. ქ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 9—11 ს. 2—5 ს. 1015